**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებვესა: ულღერივი სტრიქონი რვაკაპეიკი.

1877—1891 — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1891



თავადი ზაქარია გიორგის ძე ერისთავი და კიეინა სოფიო ლევანისასული ერისთავისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი—მამისა, ხოლო მეორე—მამამთილისას, კავალერიის გენერლის **თავ. გიორგის რომანოზის ძის ერისთავისას**. პანაშვიდი გარდახდილი იქმნება 6 ამა ნოემბერს, საღამოს 7 საათზედ, ხოლო ცხედარს გამოასვენებენ 7 ნოემბერს, დილის 10 საათზედ, საკუთარის სახლიდგან (ახალს ბებუთოვის ქუჩაზედ) დუშეთის მაზრის სოფ. ომისში, საკუთარს სავანეში დასასაფლავებლად. (1—1)



## „ივერია“

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.


## ახალი ამბავი

*** ჩვენ მოგვივიდა ახლად გამოცემული ქართულს ენაზედ „ქიმია“, პროფესორის როსკოსი, გადმოთარგმნილი ბ-ნ ვ. ი. რცხილაძეს მიერ. წიგნი ლამაზად არის დაბეჭდილ-დასურათებული, 36 სურათია შიგ მოთავსებული, სულ 125 გვერდს შეიცავს და ჰღირს ორი აბაზი.

*** ხვალიდგან, ტფილისის სამხედრო ბეგარის დაწესებულებაში სამხედრო ექიმი ბ-ნი კაპელლერი და სამოქალაქო, ბ-ნი მაღალაშვილი, ქალაქის თავისა და დაწესებულების წევრითურთ გასინჯავენ და შეამოწმებენ ჯან-მრთელობის მხრივ იმ ახალგაზდა ყმაწვილს კაცებს, რომელთაც კენჭის ყრით ერგოთ ჯარში წასვლა. სამშაბათს-კი კენჭ-ნარგები 50 კაცი უნდა შეგროვდეს სამხედრო დაწესებულებაში ფიცის მისაღებად და შემდეგ ორის კვირით დათხოვნილნი იქნებიან.

*** კავკავის გზის სადგურს მლეთში ამ თთვის პირველიდგან დროებითი დეპეშა გამართეს გაზაფხულამდე.

*** გუშინ-წინ, 4 ნოემბერს, საზაფხულო თეატრში წარმოადგინეს ოპერა „დემონი“. წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა, განსაკუთრებით კარგები იყვნენ ქ-ნი ზარუდნაია და ბ-ნი ეგიაზაროვი. ოპერას იმდენი ხალხი დაესწრო, რომ თეატრში ტევა არ იყო და დიდ-ძალი ხალხი კიდევ უკან გაბრუნდა უბილეთობის გამო. შემდეგი წარმოდგენა ოპერისა საშაბათოდ არის დანიშნული და უნდა წარმოადგინონ „ევგენი ონეგინი“.

*** სოფ. ნიგოითი: 26 წარსულის თვისას აქ ერთი საზარელი ამბავი მოხდა—ცეცხლში დაიწვა ერთი 6 წლის ქალიშვილი. საბრალო ბავშვი შინ მარტო დაეგდოთ. ცეცხლი დიდი არა ყოფილიყო, მაგრამ უბედურება მაინც არ ასცდენოდა. პირველად ტანისამოსზედ წაჰკიდებოდა და შემდეგ ტანზედაც. ბავშვმა მეორე დილამდე იცოცხლა და მაშინ-კი ტანჯვით დალია სული.

*** იქიდამვე: ყვავილი ძლიერ გახშირებულია, მაგრამ ყურის მგდებელი ვინ არის, რომ ან ამცრელი გამოგვიგზავნონ ან სხვა რაიმე ღონე იღონონ. დიდი ხანია, მამასახლისმა, სადაც ჯერ იყო, მოახსენა და პასუხად მიიღო: „განკარგულებას მოვახდენო“, მაგრამ „სანამ პეტრე მოვიდა, პავლეს ტყავი გააძრესო“, ჩვენც ისე მოგვივა. სკოლის შეგირდებსაცა სჭირთ ყვავილი. კარგი იქნებოდა, იმათ მაინც ადრე მიაშველებდნენ ამცრელებსა.

*** იქიდამვე: რკინის გზის არც ერთის სადგურიდგან არ გადის იმდენი შეშა, რამდენიც ნიგოითიდგან. აქედგან მიდის შეშა ტფილისშიაც და სხ. მაგრამ იმ დროს, როცა ჩვენის შეშის წყალობით გალუსტეები—გიორგიაები, ჯგირი კოჩები, ხერხეულიძეები და სხ. (შეშის ვაჭრებია) ჯიბეს ივსებენ, ჩვენის სკოლის შეგირდებს სიცივით აკანკალებს. ამ უშეშობას ზედ დაურთეთ ფარღალალა კედლებიდგან ქარის ქშუტუნი, უტანისამოსობა ამ ავდრიანს დღეებში და თქვენ თვალ-წინ წარმოგიდგებათ შესაბრალისი სურათი. რაღა გული უნდა ჰქონდეს სწავლაზედ ყმაწვილს ამ საცოდაობაში? აკანკალებულნი სხედან კლასში და ელოდებიან დასვენებას: იქნება ბლაძუნაობაში შევთბეთ ცოტა მაინცაო. გვიკვირს, გვიკვირს ამ ნაირი ულმერთობა! როგორ ითმენ ამ სიცივეს-მეთქი, ვკითხე მასწავლებელს. „რა ვქნაო, მიპასუხა: მამასახლისი მპირდება მოგიტანინებ, და მეც ერთი თთვე უცდიო“. აი ამ გაჭირვებაში არიან სოფლის მასწავლებლები. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ჩვენი თავადიშვილები უფასოდ უთმობენ სკოლას შეშას, მაგრამ ჩვენის მოხელეების დაუდევრობის გამო მომტანი არავინ არის.

*** როგორც მკითხველებმაც უწყიან, ტფილისის ქალაქის საბჭომ საჩივარი მოხელეს ზ. ზავრიევისა, რომელიც სავაჭრო პოლიციის აგენტს ბ-ნს ალიახანოვს უჩიოდა თათრის მოედანზედ შეურაცხებისათვის, არ შეიწყნარა. ეხლა გაზ. „Тиф. Л.“ ამბობს, რომ ზავრიევი საბჭოს გარდაწყვეტილებას არ დასთანხმდა და საჩივარი შეიტანა თვით საბჭოზედ საქალაქო საქმეთათვის დაარსებულს საგუბერნიო დაწესებულებაში, რომელიც ამ ახლო ხანში განიხილავს ამ საგანსაო.

*** 3 ნოემბერს მუხრანის ქუჩაზე, მირზოევის სახლში, სულით ავადმყოფმა მოხდოკის მცხოვრებელმა კირეი მურადოვმა რევოლვერი დაიცა თავში. დაჭრილი სამკურნალოში წაიყვანეს და, ამბობენ, საშიშს მდგომარეობაში არისო.

### ქალაქის საბჭო

4 ნოემბერს

წაკითხულ იქმნა ოქმი ჯერ იმ კრებისა, რომელმაც კენჭი უყარა გამგეობის წევრებს ამოსარჩევად ქალაქის თავის მოადგილისა. ქალაქის თავმა ჰკითხა საბჭოს, შენიშვნა ხომ არავის აქვს-რა შესახებ ოქმის სინამდვილისაო.

ხმ. მ. ვ. მაჩაბელი. ოქმში სწერია: „ამ სახით, საბჭომ დაადგინა-ამორჩეულ იქმნას პ. ა. იზმაილოვი ქალაქის თავის მოადგილედაო“, მა-

## ფელეტონი

### ტყიბულის ქვის ნახშირი

(წერილი ურგებიდგან)

დიდი ხანია, ტყიბულის ქვის ნახშირის მადანის შესახებ არავის უთქვამს გაზეთში არაფერი და ამის გამო ვგონებთ, არ იქნება ურიგო, რომ აქაურობის შესახებ ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ. ამ ჟამად ტყიბულაში ქვის ნახშირის მადანი ორია სამუშაოდ მოწყობილი და ორივეს ხელმძღვანელი ინჟენერი ბ-ნი გორლოვია. პირველი მადანი ეკუთვნის გენერალს ნოვოსელსკის, დაიწყო მუშაობა 1889 წ. და მოიჯარადრებმა აიღეს საწარმოებელად, მაგრამ არ გაუვლია დიდს ხანს და შეჩერდა მადანში მუშაობა და დღესაც სამარის სიჩუმეა იქ, მეპატრონესა და მოიჯარადრეთა შორის უთანხმოების ჩამოვარდნის გამო. მეორე მადანი შაბუროვისეულია, ეხლანდელ მეაქციეთა საზოგადოების „ნახშირას“ საკუთრება. ეს მადანი, როგორც ადგილის სიდიდით, აგრეთვე ნახშირის სიკარგით ბევრად სჯობია ნოვოსელსკის მადანს და იმყოფება ნაქერალის მთის ძირში, ტყიბულის რკინის გზის სადგურიდგან ოთხის ვერსის მანძილზე. ორი წელიწადია, რაც ეს მადანი სამუშაოდ მოაწყო ბ-ნმა გორლოვმა და წლევანდლამდის ურმებით გაჰქონდათ ნახშირი ტყიბულის სადგურამდის, ხოლო წელს, როგორც იყო, ეშველათ მეაქციეებს, რკინის გზის შტო მიიყვანეს ტყიბულიდგან მადნებამდის და ეხლა, მეტი არაფერი დარჩენიათ, მხოლოდ გაჰზიდონ და გაასაღონ ნახშირი. რადგანაც ბევრმა არც-კი იცის აქაურის ბუნების სიმდიდრე, სიმშვენიერე, ადგილის მდებარეობა და მადანის მოწყობილობა, ამის გამო მსურს, ოდნავ მაინც აღვწერო.

ამ მადანში, სადაც რკინის გზის შტო თავდება და სადგურია აშენებული, რომელსაც ეწოდება სახელად „ურგები“ (ადგილის სახელი), ამ სადგურიდგან მოკიდებული მადნების მღვიმე-მაღაროებამდის კიდევ იქნება სამასი საჟენი. სადგურიდგან ჯერ იწყება აღმართი სამოცის საჟენის მანძილზე. ამ აღმართზე არის გაკეთებული ესრედ წოდებული „ბრემსბერგი“, ჯაჭვი ორფად გაბმული, რომელსაც სიმძიმით ერთსა და იმავე დროს დაბლაც ჩამოჰყავს ნახშირით დატვირთული პატარა ვაგონები და მაღლაც აჰყავს ცალიერები. ბრემსბერგის იქით სულ ვაკეა მღვიმე-მაღაროებამდის. ამ ვაკეზე ვაგონეტების სატარებლად არის გაკეთებული ვიწრო რკინის გზა. ამ გზაზე, მღვიმედგან გამოშვებული ტვირთიანი პატარა ვაგონეტი, რომელშიაც 20 ფუთი ნახშირია, დიდის სისწრაფით მოჰქროლავს დაუხმარებლივ ბრემსბერგამდის, რადგანაც გზა ცოტა თავდაღმართია. თითო ვაგონეტზე თითო მუშაა და როცა მოიყვანს თავის ვაგონეტს ბრემსბერგთან, აქ გასცლის საცერში და შემდეგ ცალიერი ვაგონეტი მადანში მიწოლით უნდა წაიყვანოს. მადანში მუშას ვაგონეტი შეჰყავს სამოცის საჟენის სიშორეზე, სადაც არის გაკეთებული განიერი მოედანი და მუშაობის დროს სანთლებით არის განათებული იქაურობა. ამ მოედანს ზემოდ, მაღლა სართულში, ნახშირს სტეხენ, თვრამეტის საჟენის სიმაღლიდგან მილებით ჩამოაქვთ ძირს და ვაგონეტებში ჰყრიან. ამ სართულს ზემოდ კიდევ არის ერთი სართული, რომელიც ქვემო მოედნიდგან 36 საჟენის სიმაღლეზეა; აქედგანაც ნახშირი მილებით ჩამოაქვთ ჯერ შუა სართულში, შემდეგ დაბლა მოედანზე და აქ ვაგონეტებზედა ჰყრიან. მღვიმედგან წამოყვანილს ტვირთიანს ვაგონეტს მუშა ბრემსბერგთან მოიყვანს ხოლმე, აქ საცერში გასცლის, როგორც ზემოდ ვსთქვით, და დაბრუნდება უკან ცალიერის ვაგონეტით.

საცერთან მომუშავე მუშები ნახშირს ოთხს ხარისხად არჩევენ. პირველ ხარისხის ნახშირი თითო ნაჭერი თითო ფუთი და მეტიც გამოდის; მეორე ხარისხისა—ათ გირვანქიდგან ოც გირვანქამდე; მესამე ხარისხისა—მუჭის ოდენაა და მეოთხისა-კი—სულ დაფშხვნილია და ეძახიან „მუსორს“ (ნაგავს). როცა ნახშირს ბრემსბერგთან ასე დაარჩევენ და ვაგონეტებში ჩაჰყრიან, შემდეგ ბრემსბერგით ძირს ჩამოაქვთ, რკინის გზის სადგურთან, და აქ პირდაპირ რკინის გზის ვაგონებში ჰყრიან. ერთის სიტყვით, ნახშირის მოტეხა მადანში, მისი გამოწიკვა, ჩამოტანა ბრემსბერგით და დატვირთვა დიდს ვაგონებზე ისე კარგად არის მოწყობილი ბ-ნ გორლოვის მიერ, რომ მოთხოვნილება იყოს დღეში შეიძლება ოციდგან ორმოცი ათასი ფუთი ნახშირი გამოზიდონ და დატვირთონ ვაგონები. ასე მშვენიერად ბ-ნს გორლოვს არა ერთი და არა ორი მადანი მოუწყვია რუსეთში, არამედ მრავალი, რის გამოც დიდი სახელი და პატივი აქვს მოხვეჭილი. ჯერჯერობით აქედგან, ამ საუცხოვოდ მოწყობილ მადნიდგან, კვირაში იგზავნება 24 ვაგონი ნახშირი, ე. ი. დღეში 2,200 ფუთი, თუ მეტი არა.

ორიოდე სიტყვა უნდა ვსთქვა აქაურ ბუნების სიმდიდრისა და სიმშვენიერის შესახებ. წამობძანდებით თუ არა ტყიბულიდგან მატარებლით, ან ცხენით მადნის სანახავად, თქვენს თვალ-წინ გაიშლება მშვენიერი სურათი. ჯერ გზადვე ადამიანის თვალი ვერა ძღება ცქერითა და სიამოვნებით; ხან ერთს მხარეს მისჩერებია და ხან მეორეს. მოხვალთ თუ არა რკინის გზის სადგურს ურგებთან და აიხედავთ ნაქერალის მთისკენ, რომელიც ერთგულ დარაჯსავით დასცქერის 400 საჟენის სიმაღლიდგან ნახშირის მადანს და თითქმის მთელს ტყიბულას, თქვენს თვალს უფრო სასიამოვნო სურათი წარმოუდგება. ნაქერალის მთა აღმოსავლეთისაკენ, მადნიდგან დაწყებული ვიდრე წვერამდე, შემოსილია ამწვანებულის ტყითა და მცენარით, ჩრდილოეთისკენ გაშლილია მთაზე სამის ვერსის მანძილზე მშვენიერი სათიბი მინდორი, მხოლოდ მთის წვერზე მოსჩანს მუდამ მწვანით მოსილი ნაძვის ხეები. სამხრეთისა და დასავლეთისკენ გაიხედავთ და იგივ მთა-გორებია, ტყითა და მწვანით მოცული.

შინ-როდესაც ეგ საბჭოს სულაც არ დაუდგენია. აქ 48 ხმოსანი ვიყავით, ჩვენში მხოლოდ 27 უყარა კენჭი პ. ა. იზმაილოვს, რომელმაც მიიღო სულ 23 თეთრი კენჭი, მაშასადამე, იგი ამოირჩია 23 ხმოსანმა და არა საბჭომ, ხოლო ქალაქის თავმა გამოაცხადა: „ამ სახით, პ. ა. იზმაილოვი ამორჩეულ იქმნა ქალაქის თავის მოადგილედაო“. ამის გამო ოქმშიაც მაგრე უნდა იყოს ნათქვამი, როგორც იმ ოქმში, რომელშიაც აღწერილია პ. ა. იზმაილოვის ამოურჩევლობა, ე. ი. 7 ოქტომბრის ოქმში ნათქვამი იყო: „ამ სახით, ქალაქის თავმა გამოაცხადა, რომ პ. ა. იზმაილოვი არ იქმნა ამორჩეული ქალაქის თავის მოადგილედ და არჩევანები გადიდვა შემდეგისთვისო“, აგრეთვე უნდა ითქვას 14 ოქტომბრის ოქმშიაც: „ამ სახით, ქალაქის თავმა გამოაცხადა, რომ პ. ა. იზმაილოვი ამორჩეულ იქმნა ქალაქის თავის მოადგილედა“, ხოლო საბჭოს-კი ეგ არ დაუდგენია, რადგან საბჭოს არავინ-რა ჰკითხა.

ქალაქის თავი. მე არ მესმის, რაღა უნდა მეკითხნა საბჭოსთვის, როდესაც საბჭოს აზრი გამოიხატა კენჭების რაოდენობაში! როცა კენჭის ყრაა ხოლმე, მაშინ შეკითხვა სრულიად მომეტებულია, იმიტომ რომ უმეტესობის აზრი არის განაჩენი საბჭოსი, და თუ მე კანონიერედ გამოვაცხადე პ. ა. იზმაილოვის არჩევა და თქვენ-კი უკანონო გგონიათ, მაგაზე ხომ საჩივარია შეტანილი ქალაქის საგუბერნიო საკრებულოში და იქ გაარჩევენ ჩემს მოქმედებას. ამიტომ ეხლა მაგაზედ ლაპარაკი მომეტებული.

ხმ. თავადი მიქელაძე. სრულიად მართალია ქალაქის თავის აზრი, რომ კენჭის რაოდენობა შეადგენს საბჭოს განაჩენს და, მაშასადამე, რაღა საჭირო იყო კვლავ შეჰკითხებოდა საბჭოს. ამის გამო 14 ოქტომბრის განაჩენში უნდა ისე ეწეროს, როგორც ჰბრძანებს ბ-ნი ქალაქის თავი. მაგრამ მე ის მიკვირს, რატომ 7 ოქტომბრის ოქმშიაც არ არის გამოხატული საბჭოს განაჩენი, და ნათქვამია: „ამ სახით, ქალაქის თავმა გამოაცხადაო“, და სხვანი. მე ვფიქრობ, რომ ასეთი სხვა-და-სხვაობა საბჭოს განაჩენის ჩაწერისა არ არის შესაწყნარებელი, უნდა ერთი შეურყეველი წესი იყოს შემოღებული ოქმთა მართლიერებისათვის. ამის გამო, 7 ოქტომბრის ოქმშიც ისე უნდა ეწეროს, როგორც 14 ოქტომბრის ოქმში სწერია, ე. ი, „ამ სახით, საბჭომ დადგინა—არ იქმნას ამორჩეული პ. ა. იზმაილოვი ქალაქის თავის მოადგილედაო“, ან ორივე შემთხვევაში უნდა ეწეროს საბჭოს განაჩენი, ან იმავე შემთხვევებში უნდა გამოხატული იყოს მხოლოდ ქალაქის თავის აზრი ანუ განაჩენი.

ხმ. თავადი ი. გ. მაჩაბელი. ჩემის აზრით, ყოვლად შეუძლებელია ოქმში იყოს ნათქვამი, ვითომც საბჭომ დაადგინა პ. ა. იზმაილოვი ამორჩეულ იქმნას ქალაქის თავის მოადგილედაო. ამისთანა განაჩენს ძალათი გვახვევს გამგეობა თავზე. ან-კი როგორი გარდაწყვეტილებაა, როდესაც თვრამეტმა კაცმა უარი განაცხადა კენჭის მიცემაზე! წინად, როცა დამფასებლებს ვირჩევდით, ქალაქის თავმა უკანონოდ ჩასთვალა არჩევანები მხოლოდ იმიტომ, რომ დამფასებელთა კენჭებს შორის საზოგადო რიცხვით ორი კენჭი მეტ-ნაკლები მოვიდა. პ. ა. იზმაილოვის არჩევანში-კი მთელი 18 კენჭი თამაშობს. განა შეიძლებოდა ასეთი არჩევანი კანონიერად გამოცხადებულიყო?

წევრი გამგეობისა პ. ა. იზმაილოვი. ხმოსანთა ლაპარაკიდგან ისე გამოდის, თითქო გამგეობას რაიმე წინად-განზრახული ხრიკი ჰქონდეს, რაკი ოქმში ამბობს—საბჭომ დაადგინა ამორჩევაო. რომ აქ განზრახული არა არის-რა, უნდა მოგახსენოთ, რომ საბჭოს ოქმები სულ მაგ ფორმაზე იწერება, როდესაც არჩევანი ჰოობით გათავდება ხოლმე. ხოლო როდესაც არაობითა თავდება, მაშინ ოქმში სწერია—ქალაქის თავმა გამოაცხადაო, და სხვანი. ეს მუდამ ასე იყო და ასეც მოიქცა თვით ესვეე საბჭო. მე მოგაგონებთ ხოლო ორს ოქმს, თქვენისავე ხელით მოწერილს: ერთი, რომელიც მოგვითხრობს ა. ს. მატინოვის ამორჩევას, და სწერია: „ამ სახით, საბჭომ დაადგინა—ამორჩეულ იქმნას ქალაქის თავადაო“, მეორე, რომელიც შეეხება ჩემს ამორჩევას ქალაქის თავის ადგილზე, და სწერია: „ამ სახით, თავმჯდომარემ გამოაცხადაო“, და სხვანი. პირველს შემთხვევაში სწერია განაჩენი საბჭოსი, მეორე შემთხვევაში აზრი ქალაქის თავისა.

ხმ. კაიდანოვი. ჩემის აზრით, არაფერი არა დაშავდებარა ოქმში ჩავწეროთ—ქალაქის თავმა გამოაცხადა, რომ იზმაილოვი იქმნა ქალაქის თავის მოადგილედ ამორჩეულიო.

ხმის უმეტესობით საბჭომ მიიღო წინადადება ხმ. კაიდანოვისა.

შემდეგ წაკითხულ იქმნა ოქმი 21 ოქტომბრის კრებისა.

ხმ. ზუბალოვი. ოქმი არ არის სრული, მეტადრე იმ ადგილას, რომელიც მოგვითხრობს გამგეობის წევრის ა. ა. ივანენკოს სიტყვებს. ბ-ნმა ივანენკომ ძალიან ლამაზი სიტყვები იხმარა: „საბჭომ უნდა ყოველთვის იცოდეს ნამდვილი ვითარება საქმისა და მისთვის დაფარული არა უნდა იყოს-რაო.“ ეს ისეთი ძვირფასი სიტყვებია, რომელნიც შეტანილ უნდა იქმნენ ოქმში და ყველას გვახსოვდეს, რომ გამგეობა მართლიერი მოახსენებელი უნდა იყოს საბჭოსი და არ შეჰყავდეს იგი შეცდომილებაში.

წევრი გამ. პ. ა. იზმაილოვი. მე ჩემს მოქმედებაში ყოველთვის ვარჩევ საზოგადო საქმეს კერძო საქმეებისგან და, თუ-კი საზოგადო საქმეს ეღალატება მომეტებულის ლაპარაკით და გამომჟღავნებით, მე სიჩუმე მირჩევნია, გინდა ამით კიდეც მეზარალოს რამ. ჩვენ შეცდომა მოგვივიდა ბელგიის საზოგადოებასთან და ამ შეცდომის განხილვა სასურველი იყო მომხდარიყო შინაურულად და არა საქვეყნოდ, ერევნის მოედანზე.

წევრი გამ. ე. ე. ხოსროევი. განა იშვიათადა გვქონია შემთხვევა, რომ ამ გვარი საქმეები საქვეყნოდ არ გავიხდია, არამედ კერძოდ გაგვისინჯავს! განა ხმოსნებს არ ახსოვთ, რომ, როდესაც სადავო საქმე აგვიტყდა სტრუვესთან შესახებ სატივოსი, მაშინ საბჭომ დაინახა საჭიროდ, რომ საზოგადოება დაგვეთხოვნა და მხოლოდ ხმოსნებს მოგვესმინა სადაო საბუთები, რომ ჩვენს მოწინააღმდეგეს არ ესარგებლნა, თუ სისუსტე რამ აღმოგვიჩნდებოდა?

ხმ. თავ. მიქელაძე. როდესაც საქმე გაუჭირდება ხოლმე გამგეობას, მაშინადვე მოჰყვება—ჩვენ სიჩუმე გვმართებდა, საქმის სარგებლობა მოითხოვდა ამასაო. ერთი რა სარგებლობა უნდა გვენახა სინამდვილის დაფარვიდგან, როდესაც ეგ სინამდვილე შეეხებოდა მხოლოდ ერთს საბუთს, წერილს, რომელიც ხელში აქვს თვით ბელგიის საზოგადოებას ცხენის რკინის გზისას და მისთვის დაფარულს არას წარმოადგენს. მაგ წერილის გამომჟღავნებით ვერაფერს ახალს ვერას ვეტყოდით ბელგიელებს. გარდა მაგისა, პ. ა. იზმაილოვი ამბობს —ერევნის მოედანზე არ მინდოდა გამომექვეყნებინაო. ნუ თუ ქალაქის საბჭო ერევნის მოედანია! რაიცა შეეხება იმ შედარებას, რომელიც იხმარა ბ-ნმა ხოსროევმა სატივოს საქმის თაობაზე, უნდა მოგახსენოთ, რომ ბელგიელების საქმე სრულიად არა ჰგავს სტრუვეს საქმეს. ან-კი როდი უნდა შეუდგეს ხოლმე გამგეობა იმისთანა ამბის გახსენებას, რომელიც კარგს არას გაგვიცოცხლებს მეხსიერებაში. გამგეობას როგ შეგნებული ჰქონოდა თავისი მოვალეობა, მაგ სატივეს მოუპოვებდა ქალაქს სულ ას ორმოც-და-ათ თუმნად, არ დაუთმობდა ვაჭრობაში სტრუვეს და ეხლა ოთხი ათას თუმნად აღარ დაგვისვავდა სატივოს შეძენას.

ქალაქის თავი. თუ რაიმე აკლია ოქმს, შეგიძლიანთ ჩააწეროთ, ტ ეხლა-კი შევუდგეთ საქმეს... პირველად უნდა მოვიხსენიოთ გარდაცვალება ჩვენის ხმოსანის კონსტანტინე კალოუბნელისა, რომელიც 1884 წლიდგან ემსახურებოდა საბჭოს, როგორც სინიდისიერი ხმოსანი, და მონაწილეობას იღებდა სხვა-და-სხვა კომისიებში. ნიშნად ამ ხმოსნის პატივისცემისა საბჭოს ვსთხოვ წამოდგეს ფეხზე.

ყველანი ფეხზედ წამოდგნენ და პატივი სცეს კონსტანტინე კალოუბნელის სახსოვარს.

შემდეგ წევრმა გამგეობისამ პ. ა. იზმაილოვმა მოკლედ გარდასცა კრებას მოხსენება გამგეობისა და აზრი საფინანსო კომისიისა მასზედ, რომ შიოევისეული სახლი ქალაქისა გადაგირავდეს ან ისევ სათავად-აზნაურო ბანკში, საცა ეხლაა დაგირავებული, ან საკრედიტო საზოგადოებაში, იმისდა მიხედვით, თუ რომელი ბანკი უფრო მომეტებულს სესხს გასცემს ამ სახლში და სად უფრო სასარგებლო იქნება გადაგირავება ისე, რომ ექვსის პროცენტის მაგიერ ქალაქმა იხადოს ხუთი პროცენტი.

ხმ. კაიდანოვი. მე მგონია, დღეს მაგ საქმის შესახებ მსჯელობა სრულიად უადგილოა. გირავნობის ფურცლები საზოგადოდ ძრიელ დაეცნენ ეხლა და არავითარი სარგებლობა არ გვექნება გადაგირავებით. ამასთანავე უნდა იქონიოთ სახეში, რომ სათავადაზნაურო ბანკიდგან გადატანა საკრედიტო ბანკში ყოვლად მოუფიქრებელი საქმე იქმნება, იმიტომ რომ ქალაქმა თავისი სახლები უნდა უფრო სანდო ბანკებში დააგიროს, და ამ მხრით სათავად-აზნაურო ბანკი ყოვლად სანდო დაწესებულებაა—მარტო სათადარიგო თანხა ამ ბანკისა აღემატება ოთხას-ათასს მანეთს, მაშინ როდესაც საკრედიტო ბანკს სრულიად არა აქვს სათადარიგო თანხა.

ხმ. იოახისიანი. მე სრთლებით არ მესმის, რა აზრი უნდა ჰქონდეს ამ გადაგირავებას. გამგეობა და საფინანსო კომისია გვეუბნება—რაც მეტს

---

ყველგან ჩრდილი, ყველგან სასიამოვნო სანახავი და ყველგან სანატრელი სურათი. ჰაერიც წმიდა და სპეტაკია, წყალი წყაროსი—ცივი და ანკარა და სხვა მრავალი. ამის მნახველი ადამიანი სულითა და გულით სტკბება და ვერ გამაძღარა სიტკბოებით. ეს ალაგი იმყოფება შავის ზღვის პირიდგან სამასის საჟენის სიმაღლეზე, ხოლო ნაქერალის ქედი ერთის ვერსისა და ორასის საჟენის სიმაღლეზე ზღვის პირიდგან, და რა გასაკვირველია, რომ აქ მშვენიერი ჰაერი და წყალი იყოს. აქ, ამ კურთხეულს ალაგს, დალოცვილს ბუნებას მთაში შავი ალმასი ჩაუფლავს და ამით დაუგვირგვინებია სიმდიდრე და სიმშვენიერე ამ ადგილისა. საიდგან გნებავთ, რომ აქ არ მოდიოდნენ მადნისა და ბუნების სანახავად, ვისაც-კი ოდნავ მაინც გაუგონია ამ შემკულ კუთხის რამე. ერთმა ჩვენმა ნასწავლმა მამულიშვილმა, როცა მადანი თავისის მოწყობილობით ჰნახა პირველად და აქაურის ბუნების ცქერით დასტკბა, სთქვა: „ეხლა-კი მჯერა, რომ ჩემი სამშობლო მეორე შვეიცარია ყოფილაო, და ან რომელი კუთხეა შვეიცარიისა, რომ ამ კალმით დახატულს მხარეს მიეტოლოსო!“.

ამ ზემო აღწერილს ადგილას, სადაც მადანიც არის და სხვა სიმდიდრეც, ეწოდება სახელად „ურგები“. რა დააშავა ნეტა ამ ადგილმა ისეთი და რად უწოდეს ასეთი სახელი? როგორც აქაური მცხოვრებლები ამბობენ, ორი მიზეზი აქვს ამ ადგილს „ურგებად“ წოდებისა. პირველი ის არის, რომ, ვითომც აქ მეორმოცე წლებში ყოფილიყოს გაცხარებული მუშაობა და ზიდვა ნახშირისა და ვითომც გაკოტრებულიყვნენ და ადგილისთვის ეწოდებინოთ „ურგები“. მეორე ისა, რომ ვითომც ამ ადგილზე გლეხებს ძველად ყანა ჰქონებოდეთ და რამდენსამე წელს გაცუდებულიყოს, ნამუშევარი არ მოსულიყოს და ამისათვის ეწოდებინოთ „ურგები“. ასეა, თუ ისე ამ ადგილს სახელად „ურგები“ დღემდის შერჩენია და ნეტავი ეს წოდება ძვალსა და რბილში არ გაუჯდებოდეს და მართლა ურგები არ შეიქნებოდეს, თუ არა სხვას ვინა სჩივის.

კუს ნაბიჯით მადანში მუშაობის მსვლელობა მეაქციეთა ბრალი უნდა იყოს, თორემ ნუთუ ასეთის კარგის თვისების ნახშირი დღეში სამს ვაგონზე მეტი არ უნდა საღდებოდეს? და ან რა გაასაღებს, ნახშირი თითონ ხომ ვერ წავა ევროპისა და სხვა მაზრებში და ვერ დაიძახებს: „ვის გინდივართ, მიყიდეთო“! და მეტი პატრონი-კი არა ჰყავს.

ჩვენ მარტო ქართველები გვეგონა ვაჭრობასა და სხვა ასეთს საქმეში გაუბედავნი და თურმე სომხები უარესები ყოფილან. აქაურის ქვის ნახშირის მადანის უმთავრესი მეაქციეა სამი ტფილისელი დიდად შეძლებული სომეხი, რომელთაც თითოს ორას ორმოც-და-ათის ათასის მანეთის მეტი აქცია აქვს შესყიდული. წარმოიდგინეთ, საქმის ხეირიანად წასაყვანად კაპეიკის დახარჯვისა ეშინიანთ, ვაი თუ დავიღუპოთო. კაცები არა ჰყავთ, რომ დაგზავნონ ყველა ნავთსადგურსა და ბაზარში და შეატყობინონ ქვეყანას, რომ მუშტრები იშოვნონ. კაცები არა ჰყავთ, რადგან ხარჯი ეზარებათ და უხარჯოდ-კი არა კეთდება-რა. ბევრი კოკა წყალი ჩაივლის, ვიდრე ქართველები და სომხები ისე გავთამამდებით ვაჭრობაში, როგორც ევროპიელები არიან გათამამებულნი, უშიშარნი და გაბედულნი. ისინი ისე გაბედულნი არიან, რომ საეჭვო საქმეზედაც ასი ათასობითა და მილიონობით ჰხარჯავენ. თუ მათ მიერ დაწყებული საქმე სარგებლიანი შეიქმნა ხომ კარგი, და თუ არა, არც იმ ზარალის გამო გაიტეხენ გულს და დიდის სიმხნევით სხვაგან იწყებენ მუშაობას, ჩვენ-კი ასი ათასი მანეთი რაიმე სავაჭრო საქმეში რომ დავხარჯოთ და ნაცვლად მოგებისა—ვიზარალოთ, შემდეგ სხვა სავაჭრო საქმეში, თუ გინდ უეჭველად მილიონის მოგებაც შეიძლებოდეს, ვერ ჰვბედავთ ფულების დაბანდებას. ჩვენის მეაქციეებისა არ იყოს, შავი ალმასი აქვთ მთაში ჩაფლული და ამის შესამუშავებლად და გასასაღებლად ფულს ვერ იმეტებენ, გაბედვით ვერ ეკიდებიან საქმის წარმოებას, ვაი თუ შავი ალმასი ვერ გავასაღოთ და ტყუილ-უბრალოდ დავხარჯოთ ფულები და დავიღუპნეთო. აფსუს, შავო ალმასო, ვის ხელში ხარ! შენ უნდა ინგლისელისა, ან ამერიკელის ხელში იყო, რომ მტვერი აგადინოს ზურგზე, მთელის ქვეყნის ბაზრები და ნავთ-სადგურები განახვოს და დღეში, 2200 ფუთის მაგიერ, ასი ათასი ფუთი გაგზიდოს და გაგასაღოს.

ჩვენის ნახშირის მემადნენი არა თუ ევროპაში, ჩვენს ქვეყანაშიაც ვერ ასაღებენ ნახშირს. ვერ ასაღებენ, რადგანაც ჩვენში უმრავლესობამ არცკი იცის, არსებობს თუ არა ქვის ნახშირის მადანი ტყიბულაში, და ვინც იცის ნახშირის არსებობა, იმათზე ისე ძვირად ჰყიდიან, რომ ინგლისიდგან მოტანილი ნახშირი, ვგონებთ, უფრო იაფად უჯდებათ, ვიდრე ტყიბულიდგან. განა საკვირველი არ არის, რომ ქუთაისში ფუთი ნახშირი 13 კაპ. იყიდებოდეს და ტფილისში 20 კაპ.?! ნუ თუ ასე ძვირად უნდა იყიდებოდეს ჩვენში ტყიბულის ნახშირი?! ასე ახლო იყოს ნახშირის მადანი და ასე ძვირად-კი? აქციის პატრონებს ფუთი ნახშირი, სადგურ ურგებთან ჩამოტანილი, უჯდებათ 5 კაპ. ქუთაისამდე წაღება ღირს 1 კაპ. ფუთზე. ნახევარი კაპეიკი კიდევ წვრილმანი ხარჯი ვიანგარიშოთ და სულ $6^1/_2$ კაპ. შეადგენს ქუთაიში ჩატანილი. ერთი კაპეიკი რომ მოიგონ და 7 ან 8 კაპ. ფუთი ნახშირი გაჰყიდონ ქუთაისში და 12 ან 13 კაპ. ტფილისში, ნუ თუ არ ეყოფათ მოგებად? მაგრამ არა, ამათ უცბად უნდათ გამდიდრება და, რაც დანახარჯი აქვთ, ის ეხლავე სურთ ამოიღონ, მაგრამ ვაი თუ ბევრის მდომმა ცოტაც დაჰკარგოს! ეს უეჭველად ასეც იქნება, თუ ეხლავე არ დაუკლეს ნახშირის ფასი.

დასასრულ, სულითა და გულით ვისურვებთ, რომ აქციის პატრონების საქმე კარგად წასულიყოს, უფრო გაბედვით ეწარმოებინოთ მადნის საქმე და მით ევროპიელ მემადნეთათვის ამათაც წაებაძოთ, და ეს ყოვლად მდიდარი, უნაკლულო და ქებული ადგილი, „ურგებად“ წოდებული, ადრე და მალე „სარგებად“ გადაქცეულიყოს.

ვასილი მასხულია

ფულს მოგვცემენ, იმით დავიხსნათ დატყვევებული თანხები საუნივერსიტეტო და შესაწევარი ფულებისათ. რისთვის და ან ვისთვის არის საჭირო მაგ თანხების გამოხსნა! თუკი აქამდე იყვნენ ტყვეობაში, ამას იქითაც დარჩებიან. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ გინდა კიდეც გადავაგიროთ, ვერც ერთი ბანკი ვერ მოგვცემს იმ ფულს, რომელიც უნდათ გამგეობასა და საფინანსო კომისიას, ე. ი. 140,000 მანათს. ალბად ამათ არა სცოდნიათ, რა წესით იძლევიან ეს ბანკები თავიანთ სესხს. შიოევისეულს სახლს მოაქვს წმინდა შემოსავალი სულ ათას ოთხასი თუმანი წელიწადში. მაშასადამე, დააფასებენ 140,000 მანათად. საკრედიტო ბანკს არ შეუძლიან მოგვცეს სრული საფასური მამულისა, არამედ სამი მეოთხედი უნდა მოგვცეს, ხოლო სათავად-აზნაურო ბანკმა—სამი მეხუთედი. იქნება, ან გამგეობას და ან საფინანსო კომისიას იმედი ჰქონდეს, რომ გაზვიადებულად დააფასებინონ ეს სახლი! ტყუილი იმედია, რადგან ყოველს წელს ჩვენს დაბეჭდილს ანგარიშებში მოყვანილია, რა შემოსავალიცა გვაქვს მაგ სახლიდგან, და ეს მთელმა ქალაქმა იცის. როგორ გაგაზვიადებინებთ დაფასებას! გარდა მაგისა, მე ჩემს დღეში ვერ წარმოვიდგენ, რომ ან თავადმა ნიკოლოზ ვასილის ძემ არღუთინსკიმ, ან სხვა წევრებმა გამგეობისამ იკადრონ და ხელი მოაწერონ ისეთს დაფასებას, რომელიც აღემატება სინამდვილეს. გარდა მაგისა, უნდა მხედველობაში ვიქონიოთ ის საბუთი, რომელიც წამოაყენა პატივცემულმა მმართველმა სახელმწიფო ბანკისამ, ბ-ნმა კაიდანოვმა, ე. ი. რამდენად სანდოა ბანკი, სადაც უნდა გვქონდეს დაგირავებული სახლი. აგრეთვე ისიც, რომ სათავად-აზნაურო ბანკი ემსახურება ქვეყნის სასარგებლო საქმეს, სწავლა-განათლებას, და ამიტომ იმისკენ უფრო უნდა გვქონდეს გული ჩვენ, ქალაქის წარმომადგენლებს, ვიდრე სხვა ბანკისკენ.

შემდეგ ხანგრძლივის ბაასისა, საბჭომ დაადგინა გადააგიროვოს შიოევისეული სახლი გამგეობამ, თუ დასთანხმდა საფინანსო კომისია, სათავად-აზნაურო ბანკშივე, ან საკრედიტო საზოგადოებაში და მხედველობაში იქონიოს, როგორც სარგებლობა ასეთის გადაგირავებისა, აგრეთვე ყოველი სახეირო პირობა სესხის აღებისა.

## ქართული თეატრი

ციმბირელი, კომედია ოთხ მოქ. ავ. ცაგარლისა.
მონადირე, ვოდევილი ვ. გუნიასი.

წარსულს კვირას ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი პიესა ავ. ცაგარლისა „ციმბირელი“ ჩვენს გაზეთში წვლილად იყო გარჩეული და დაფასებული (იხ. „ივერია“ 1889 წ. № 36) და ამიტომ ვრცლად არ გავაბამთ იმის შესახებ საუბარს, ვიტყვით მხოლოდ, რომ ეს პიესა, რაც უნდა ბევრი ნაკლულევანება ჰქონდეს, მაინც ისეთის სცენის ცოდნით არის დაწერილი, მოქმედება მთელს ოთხსმოქმედებაში ისე ცხოვლად და ცოცხლად სწარმოებს, რომ არც თვალი იღლება ერთფეროვანის ხანგრძლივ სურათის ცქერითა და არც ყური—უალაგოდ და შეუფერებლად გაბმულის ლაპარაკით.

პიესამ ჩვენს სცენაზედ კარგად ჩაიარა, თუმცა უფრო უკეთესად წარმოდგენილი გვინახავს. განსაკუთრებით ქ-ნი საფაროვისა და ბ-ნნი ყიფიანი და აბაშიძე იყვნენ წუნ-დაუდებელნი. ბ-ნმა აბაშიძემ ისეთის ხელოვნებით, ისე ნიჭიერად დაგვიყენა თვალ-წინ ტრიფონ ბულდანიჩი, რომ უკეთესად ამის მოხერხება არც სასურველი იყო და მოსახერხებლად თითქმის შეუძლებელიც. ბ-ნს კ. ყიფიანს, ამ საყვარელს არტისტს ქართულის სცენისას, საზოგადოება დიდის ალტაცებით მიეგება და იმის დანახვისათანავე კარგა ხანს არ შეუწყვეტია ტაშის ცემა და ვაშას ძახილი.

ანსამბლს ხელს უშლიდნენ ცოტა ქ-ნი არლანისა და ბ-ნნი გედევანოვი და კანდელაკი. ქ-ნს არლანისას ისეთი უძრავი და უსიცოცხლო სახე აქვს, რომ სრულიად უნარს მოკლებულია, ან სიამოვნება გამოათქმევინოს და ან სიხარული. მეორე მოქმედების დასასრულს, როცა იოანე ციმბირელს ცოლი და ქალი იცნობენ, ქ-ნს არლანისას სახე უძრავადა ჰქონდა გახევებული და მშობელ მამის დაბრუნების სიხარული იოტის ოდნადაც არ აღბეჭდვია ზედ, თითქოს აქ არაფერი ამბავია და ისპანახიც არ გაძვირებულაო. ბ-ნს კანდელაკს კიდევ არა უჭირდა-რა საერთოდ, მხოლოდ ოდნავ სუსტობდა, ეტყობოდა, რომ სრულიად ვერ დაეძლია სომხის სტეფან მაკარიჩის როლი.

ბ-ნი გედევანოვი ხომ სულ ერთიანად სუსტი იყო კავკაველ პეტუას როლში. ამ სისუსტის წყალობით როლის ბევრი საუკეთესო ადგილი ისე დაიკარგა, რომ მაყურებელს ყურადღებაც არ მიუქცევია, მაგალითებრ, მესამე მოქმედებაში, როდესაც პეტუა სიყვარულს უცხადებს მაზუთიანის გოგოს ვაროს. ბ-ნს გედევანოვს მარილიანობა აკლდა ტფილელ კინტოსი და, ამას ვინა სჩივის, ზოგან ძლიერ სცდილობდა, სიცილი გამოეწვია საზოგადოებაში, და ამით პიესის დრამატიულს სცენებს ელფერს უკარგავდა. საზოგადოდ, რამდენადაც ბ-ნს გედევანოვს ვიცნობთ, ძნელად შეიძლებს ამისთანა როლების თამაშობას და ამიტომ სჯობს, ერიდოს კიდეც, მით უმეტეს, რომ ჩვენის სცენის ერთი სასარგებლო და გონიერ არტისტთაგანია და თავისის რიგიანის თამაშობით საზოგადოების გული უკვე მოპოვებული აქვს კიდეც.

ქ-ნმა ავალიშვილისამ ზომიერად ჩაატარა არა თვალ-საჩინო როლი ნარგიზასი, არა უჭირდა-რა აგრეთვე ბ-ნს შათირიშვილსაც ვექილის ქლესოვის როლში. ამ ახალგაზდა არტისტს უფრო და უფრო უკეთესობა ეტყობა და შეიძლება ჩვენის სცენისათვის დიდად სასარგებლო არტისტიც დადგეს, თამაშობა რომ ერთფეროვანი არა ჰქონდეს ყოველს როლში.

ორიოდე სიტყვა სცენარიუსის მიმართ. საყურადღებოა, რად იყო ესე ღარიბად და შესაბრალისად მოწყობილი სახლი იოვანე უსტაბაშისა? განა შესაძლებელია, რომ მომქმედნნი ათას თუმნობით ლაპარაკობდნენ, ნიკო, იოვანეს შვილი, ოც-და-ათ თუმნიანს სამკაულს აძლევს საჩუქრად მაზუთიანის ნარგიზას, ორი ათასი თუმანი ჰქონდეს დახარჯული და სახლში-კი ქეჩაც არ ეგოთ? მართალია მაზუთიანმა დაჰლუპა ეს ოჯახი, მაგრამ პიესით, ჯერ ისე არ გაუწყვეტია მათთვის ლუკმა-პური, რომ ოდნავ მართებული მოწყობილობაც აღარ მოეძევებოდეთ ოჯახში. მართალია, ამ ოჯახის მოწყობილობა მაზუთიანის სახლის მოწყობილობას არ უნდა უდრიდეს, მაგრამ არც ისეთი გლახაკი უნდა იყოს, როგორც იმ ხელად იყო.

„ციმბირელს“ შემდეგ წარმოადგინეს ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი „მონადირე“ ანუ „დარბაზს შესვლა შენს ხელთ არის, გამოსვლა-კი პატრონისა“, რუსულიდგან გადმოკეთებული ბ-ნ ვ. გუნიას მიერ. რუსულად ამ პიესას ეწოდება: „Осенній вечеръ въ деревнѣ“. ეს პიესა უფრო პაწია სცენაა, თუმცა ძალიან გაპრტყელებული სახელი ჰქვიან, ვიდრე ვოდევილი და იმ პიესათა ჯურას ეკუთვნის, რომლის ნახვა ორს-სამს წელიწადში მხოლოდ ერთხელ შეიძლება ისე, რომ ადამიანს თავი არ მოაწყინოს. ამ სცენაში ისეთს საუკეთესო არტისტებს რომ არ მიეღოთ მონაწილეობა, როგორნიც არიან ქ-ნი საფაროვისა და ბ-ნნი აბაშიძე და ყიფიანი, სულ არა გამოვიდოდა-რა

მანოელიძე

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ნიგოითი** 25 ოქტომბერი. გაცვეთილი ჭეშმარიტებაა, რომ ხალხის ბედნიერებას სხვათა შორის უმთავრესად მისი ჯანმრთელობაც შეადგენს. უსუფთაობა და სიბინძურე ჯანმრთელობაზედ ცუდად ჰმოქმედებს. ეს მთავრობასაცა აქვს დანახული და ამისათვის ავალებს სოფლის მოხელეებს, თვალ-ყური დაიჭირონ სოფლის სისუფთავეზედ. ტფილისის გუბერნიაში მგონი ყველა სოფელსა ჰყავს თავისი სანიტარი (!) ჩვენში არც სანიტარებია და არც სხვები გვიგდებენ ყურს. არავინ არის მზრუნველი, რომ სოფელში რომელისამე სენის გამავრცელებელი მიზეზი მოსპოს. ნიგოითში ისეც ჭაობი მრავალია, სადაც წყალი გუბდება, ყროლდება, იხრწნება და ჰაერსა სწამლავს.

ამასთანავე, ვინ არ იცის, რომ სოფლის შუა ადგილას სასაფლაო მავნებელია. ჩვენცა გვაქვს ერთი სასაფლაო „კაკალ“ შუა სოფელში. ეს სასაფლაო ეკკლესიასთანვეა და ოთხ-კუთხივ მოსახლეები აკრავს. გარდა იმისა, რომ მიცვალებულთა გახრწნილი გვამი ახლო-მახლო ჰაერს სწამლავს, მკვდართა ლეშის წვენი ჰებშიაც ჟვანავს და ისედაც მავნებელს ჰის წყალს საწამლავადა ჰხდის. თუ დიდებს არ ენაღვლებათ, სკოლის ბალღები მაინც შეიბრალონ. საბრალონი მთელი დღე ამ მოწამლულის ჰაერით სუნთქვენ და ადვილი წარმოსადგენია, თუ ყმაწვილების ნორჩს ფილტვზედ როგორ იმოქმედებს მოწამლული ჰაერი. ან სკოლა უნდა მოაშორონ სასაფლაოს, ან სასაფლაო—სკოლას. იმედი გვაქვს, რომ ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევენ და გადაიტანენ სასაფლაოს სადმე.

არ იქნება აგრეთვე ურიგო, რომ ჩვენმა მოხელეებმა ამასაც მიაქციონ ყურადღება. როგორც მოგეხსენებათ, რკინის გზის სადგურთან არის ოცამდე დუქანი, რომელთათვის არავითარი ნიხრი არ არსებობს და რომელნიც, როგორცა სურსთ, ისე იქცევიან. ოყა ხორცი ხან აბაზია, ხან ხუთი შაური. სიძვირეს ვინღა დაემდურება, ნეტა ყოველთვის იშოვებოდეს მაინც გასაყიდი.

ერთი კარგი ფიქრი მოსვლოდათ ამ რამდენისამე წლის წინად ნიგოითლებს, შეეგროვებინად კომლზედ თითო ფუთი სიმინდი და ფულად ექციათ. ეს ფული დღემდე ბარტყობს და აგერ ათას მანათამდე ადის. ჩვენში ხომ ყველაფერი საქმე კუდ-მოგლეჯილია და ისე დარჩა ეს სიმინდის შეგროვების საქმეც. ერთს წელიწადს-კი შეაგროვეს და მერე-კი მიანებეს თავი, თითქოს დიდად ძნელი იყოს ჩვენთვის ეს საქმე. ამას ხეირიანი გამძღოლი რომ გამოსჩენოდა და ყოველ-წლივ ეგროვებინათ, რამდენისამე წლის შემდეგ საფოსტო ფულს ფულის სარგებლით გამოვიდოდით. მაგრამ რა, ვულ-შემატკივარი არავინა გვყავს და იმ ერთის წლის შენაგროვ სიმინდის ფულის ანგარიშიც, ვინ იცის, რა მდგომარეობაშია.

მოგეხსენებათ, ნიგოითლები რკინის გზის სადგურს ვეღირსენით. იქნება აგვცდენოდა ეს ძვირფასი განძი ჩვენის ცხოვრებისა, თუ აქაური თავადნი მაჭუტაძენი არ დაფაცურებულიყვნენ. ამათ დაუთმეს სასადგურე ადგილი, გზა და სხვაფრივაც შემწეობა აღმოუჩინეს უფასოდ. დაიწერა ორივეს მხრივ პირობა, რომლის ძალითაც სადგური ყოვლის ფრით უნაკლულო უნდა ყოფილიყო. აგერ, ამდენი ხანია და ჯერ კიდევ რკინის გზის სამმართველოს მხრივ პირობა დაუკმაყოფილებელია. არ არის მყუდრო ბაქანი და არც ტვირთის მისაღები ადგილი გვეშოვება რამე. რომ გვქონდეს გასაგზავნი და მისაღები, თუ მაშინვე ადგილი არ ვუშოვნეთ, გადმოყრილი უნდა იყოს ცის ქვეშ. ადვილად წარმოსადგენია, რა ტანჯვას გამოივლის სიმინდის გამგზავნი. უსათუოდ ერთბაშად უნდა მიჰზიდოს, მერე ისიც ზამთარში, რადგან საზოგადოდ სიმინდი ზამთრობით იგზავნება, როცა ცუდი დარებია.

რაკი რკინის გზის სადგურზედ მიდგა საქმე, ურიგო არ იქნება, იქაურს მოსამსახურეებსაც გადავავლოთ თვალი. ამ ერთის თვის წინად დიდს გაჭირვებაში ვიყავით ჩვენის სადგურის მოხელეებისაგან. რიგზედ არ ანათებდნენ, წყალს ან სულ ვერ იშოვიდით, ან თუ იშოვიდით, მღვრიესა და აყროლებულს; გაზეთს, მანამ თითონ არ წაიკითხავდნენ, ვერ ეღირსებოდით; წერილები იკარგებოდა და სხვ. ეხლა-კი ახალი მოხელეები დაჰნიშნეს ამ სადგურზედ და იმედია, ყოველივე ეს უწესოება მოისპობა და სრული რიგიანობა ჩამოვარდება.

აპოლონ ჭანკათელი

## უცხოეთი

**ბრაზილია.** ბრაზილიაში მომხდარმა ამბებმა ყურადღება მიიქცია ევროპის მწერლობისა, თუმცა, სწორედ რომ ვსქვათ, ჯერ დაჭეშმარიტებით ნამდვილი ამბავი არა შეუტყვიათ-რა. ერთნი ამბობენ, ბრაზილიის დიქტატორი დეოდორო ფონსეკა, ჩილის დიქტატორ ბალმასედასავით იქცევა და გამეფება სურსო. მეორენი ამბობენ, რიო-ჟანეიროში სახელმწიფო არეულობა მოხდა და ეს არეულობა დიქტატორ დეოდორო ფონსეკას ჯარმა შეაყენაო. სხვანი კიდევ იმას გაიძახიან, მონარქიელთა დასს სურს გამეფება იმპერატორ პედრო II შვილისშვილისა და არეულობა ამ ამბავმა მოახდინაო. ჭეშმარიტის მიზეზის შეტყობა ამ არეულ-დარეულში ძლიერ ძნელია. მართალი ამბავი მხოლოდ ერთი ისაა, რომ ბრაზილიის ნორჩს რესპუბლიკაში საპოლიტიკო დასთა შორის ბრძოლა ასტყდა და აწინდელის წეს-წყობილებით უკმაყოფილოთაც დრო ჩაიგდეს ხელში, რომ თავის გულის წადილს მიაღწიონ. ხოლო რიო-ჟანეიროდგან მოსული დეპეშა იუწყება, რომ უთანხმოების ჩამოვარდნის მიზეზი კონგრესსა და პრეზიდენტს შორის ამტყდარი კამათია პრეზიდენტის უფლებათა შესახებო. კონგრესი ბრალსა სდებს დეოდორო ფონსეკას, გამეფება გწადიანო. აი როგორ მოხდა ეს ამბავი. პალატამ შეიწყნარა კანონპროექტი იმის შესახებ, რომ სახელმწიფო კაცს ნება არა აქვს იმავე დროს რომელსამე საადმინისტრაციო თანამდებობას ასრულებდესო. ეს შეწყნარებული კანონპროექტი ფონსეკამ მიიჩნიეულის უფლებით უარჰყო. ამას შემდეგ პროექტი სენატში იქმნა წარდგენილი განსახილველად. სენატში წევრების ორმა მესამედმა მხარი პრეზიდენტს მისცა. მაგრამ ამ მომხრეთა შორის თვით პრეზიდენტის ძმაც ერია (რომელიც სენატორიც არის და გუბერნატორიც). ამის გამო ზოგმა პროტესტი გამოაცხადა, ეგ გარდაწყვეტილება უკანონოა, პრეზიდენტის ძმას ხმის მიცემის ნება არა ჰქონდა, რადგან კანონპროექტის საქმე იმასაც შეეხებაო. სენატმა ეს საჩივარი შეიწყნარა და ამასთანავეც უარჰყო პრეზიდენტის მიერ არა შეწყნარება ხსენებულის კანონპროექტისა. ეს გარემოება გაუხდა მიზეზად იმ ამბავს, რომ პრეზიდენტმა პარლამენტი დაითხოვა და დიქტატურაც გამოაცხადა. როგორც სჩანს, პროვინციებში ფონსეკას დიქტატურას წინააღმდეგობას არ გაუწევენ. ამ მოკლე ხანში არჩევანები დაიწყება კონგრების შესადგენად და ამ ახალს კანგრეს მიენდობა კონსტიტუციის გადასინჯვა, თუმცა მმართველობა-კი ისევ რესპუბლიკური დარჩება.

**იტალია.** პირველმა კრებამ საერთაშორისო მშვიდობიანობის კონფერენციისამ უამბოდ ვერ ჩაიარა. წინააღმდეგ კონფერენციის პროგრამისა, იტალიელმა ირრედენტისტმა იმბრიანიმა და საფრანგეთის დეპუტატმა აბარმა სიტყვები წარმოსთქვეს და სხვათა შორისას ისურვეს „დაჩაგრულ პროვინციების განთავისუფლება“. საფრანგეთის დეპუტატმა მოილფემაც მოიხსენია „დასუსტებული, დამარცხებული საფრანგეთი, რომელმაც უკვე შეიგნო თავისი უფლებანი“. ორატორი პრეზიდენტმა შეაყენა და სიტყვა გააწყვეტინა. მეორე კრების დროს დეპუტატთ: მანცოლენიმ, პასსიმა და პინდოლფიმ წინადადება შეიტანეს, მუდმივი საერთაშორისო საპარლამენტო კომიტეტი დააწესოთო. მაგრამ ამ საგნის განხილვა მომავალ სესსიისათვის გადასდეს, რომელიც ვენაში იქნება. იმბრიანიმ სთქვა, თუ გვინდა, რომ კომიტეტმა სარგებლობა რამ მოიტანოს, პრინციპი ეროვნებისა არ უნდა უარჰყოსო და ომის გამო-

ცხადებისა და ზავის შეკვრის უფლება ერთა წარმომადგენელთ უნდა მიენიჭოსო. ავსტრიის რეისტაგის პრეზიდენტმა წერილი მისწერა ხსენებულს კონფერენციას და მათის საქმის წარმატება ისურვა.

## დეპეშა

5 ნოემბერი

** იალტა.** სიამის პრინცი დარმონგი მოვიდა იალტაში. როდესაც გემი „ერიკლიკი“ სიამურის ფლაგით მოახლოვდა, მემკვიდრე ცესარევიჩი აბძანდა გემზე და მიეგება პრინცს. ლივადიაში პრინცი მიიღო ხელმწიფე იმპერატორმა, ამალაში არიან: ახალგაზდა ძმისწული, ზღვათა მინისტრი დიუ პლესსი-რიშელიე, მდივანი, მონენე და 4 მოხელე.

კერძო დეპეშით იუწყებიან, გუშინ გავლით თავადი ბისმარკი ბერლინში მივიდა, სადაც ხალხი ოვაციებით მიეგება; ხალხმა გაწყვიტა პოლიციელთა წრე, გაარღვია ღობე და მიესალმა ბისმარკს გალობით, სიტყვების წარმოთქმითა და ხელის ჩამორთმევით; ქალებმა მრავალი თაიგული ისროლეს ბისმარკისკენ. ბისმარკი ატირდა. ამბობენ, ხალხს შებრძოლებაც მოუხდა პოლიციელებთან და რამდენიმე კაციც დააპატიმრეს კიდეცაო.

პეტერბურგის ბირჟა, 29 ოქტომ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ნუთ-მანათიანი ოქრო . | 8 | 8, 04 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 160 1/2 | 161 | ,, |
| ქანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | 1, 14 | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 229 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 211 |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . . , . | — ,, | — ,, | 210 1/2 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | — ,, | — ,, | — ,, |
| 6%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

სამშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, სუხუმსა და ნოვოროსიისკში შეივლის.

ხუთშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, ნოვოროსიისკში შეივლის.

შაბათობით: საღამოს 8 საათზე, შორის გზით, ყოველს ნავთ-სადგურში შეივლის.

ორშაბათობით: საზღვარ-გარედ კონსტანტინოპოლისაკენ, საღამოს 7 საათზე.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: დილით, მოკლე გზით. გამოივლის კერჩსა და სუხუმზე.

ოთხშაბათობით: დილით, მოკლე გზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზედ.

პარასკევობით: საღამოზე, შორის გზით.

კვირაობით: დილით, სტამოლიდამ.

ფოთში მოდის ბათუმიდამ: ორშაბათობით, შუადღისას.

ფოთიდამ ბათუმს მიდის: ხუთშაბათობით, დილის 9 საათზე. (ბათუმში მიმავალ მგზავრთ შეუძლიათ გადავიდნენ საფოსტო გემზე, რომელიც გადის ნაშუადღევის 4 საათზე).

კვირაობით: დილის 9 საათზე.

ფოთიდამ სუხუმს: ორშაბათობით, შუადღისას.

გემი „*Бабушка*“ ბათუმიდამ ფოთს მოდის კვირაობით და ოთხშაბათობით, ნაშუადღევის 2 საათზე. ბათუმიდამ გამოდის იმ დროს, რომელსაც დაჰნიშნავს ბათუმის საააგენტო.

ფოთიდამ ბათუმს მიდის:: სამშაბათობით, დილის 9 საათზე, იმ გემს მიუსწრობს, რომელიც სუხუმზე გაივლის და ოდესაში მიდის.

შაბათობით: დილის 9 საათზე. ესეც მიუსწრობს ოდესაში მიმავალს გემს.

## განცხადებანი

ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ მისს სადგომში, 12 ნოემბერს, დილის 12 საათზე, ვაჭრობა მოხდება იჯარით გასაცემად დედათა სამკურნალოს (ავლაბარში) სადგომის შეკეთებისა. ვისაც ჰსურს დაათვალიეროს, თუ რა არის შესაკეთებელი, შეუძლიან მიჰმართოს ქალაქის ინჟენერს 11 ნოემბერს, დილის 10 საათზე, ადგილობრივ ე. ი. თვით სამკურნალოს სადგომშივე.

შემიძლიან, მსურველთ მოვუტანო და დავუდგა ლიმონადის მაშინა და აგრეთვე ვასწავლო ლიმონადის და შამპანურის ღვინის კეთება ორის კვირის განმავლობაში. მსურველთ შეუძლიათ მმომართონ პირდაპირ და პირობები დაწვრილებით შეიტყონ დ. ხონში (ქუთ. გუბერ.)

ვარშაველი აგენტი-მემაშინე სამტერი (Самтеръ) (2—2)

ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ და „ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიებში

## ქარი

საყმაწვილო სურათებიანი წიგნი ლექსად შ. მღვიმელისა, გამოცემული გრ. ტატიშვილის მიერ. სურათები და ასომთავრული ასოები ამოჭრილია გამომცემლისაგანვე. (3—3)

**ტფილისის ქალაქის გამგეობაში** ხელის-მოწერაა გამართული ნებაყოფლობითის შესაწირავისა რუსეთის შიდა გუბერნიების დამშეულ გლეხთა სასარგებლოდ. შესაწირავის მოტანა შეიძლება ყოველ დღე, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის პირველ საათამდე (3—3)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ 12 ნოემბერს, დილის 11 საათზე, გამგეობის კანცელარიაში დანიშნულია ვაჭრობა მტკვარზე სხვა-და-სხვა ყინულის სამტვრევის ადგილის იჯარით გაცემისა. პირობის დაწვრილებით შეტყობა შეიძლება გამგეობისავე კანცელარიაში ყოველ-დღე, დილის ათის საათიდამ ორ საათამდე. (3—3)

„ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი (ფსევდონიმი) „ 40 კ.
კედლის კალენდარი 1892 წლისა . . . . . „ 40 კ.
თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, სამი ტომი, თითო ტომი ცალკე . . . . . 1 მ. 20 კ.
იგივე მშვენიერს ქაღალდზე და მშვენიერის ყდით თითო ტომი ცალკე . . . . . 2 მ. 50 კ.
სამივე ტომი . . . 7 მ.
სრული სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა 1 მ. 20 კ.
იგივე ყდით . . . 1 მ. 40 კ.
თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიითა და ვაქსიმილეთი . . . . . „ 80 კ.
იგივე მშვენიერის ყდით 1 მ. 25 კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდ. პოემა ბაჩანასი . . . . . „ 15 კ.
ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ვლ. აღნიაშვილის-მიერ . . . . „ 30 კ.
იგივე ყდით . . . . . „ 75 კ.
სურამის ციხე, მოთხრ. ჭონქაძისა . . . . „ 25 კ.
„მარაბდა“ ან. ფურცელაძისა . . . . . „ 20 კ.
„წყალობა“—მისივე . „ 20 კ.
„თამარი“ სპარსული ლეგენდა . . . . . „ 10 კ.
„დემონი“ თარგ. ფაზელისა . . . . . „ 15 კ.
„ცდა“ III წ. . . . . „ 50 კ.
საზოგადო მიწათ-მოქმედება თხუზ. მ. ზაალიშვილისა. „ 30 კ.
საზოგადო ზოოტეხნია ანუ საქონლის მოვლა-მოშენება მისივე. „ 80 კ.
ვეფხვის ტყაოსანი, ოზურგეთის გამოცემა . „ 30 კ.
იგივე მშვენიერის ყდით „ 80 კ.
უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვ. ჰიუგოსი ფრანგულით თარგმ. თ. სახოკიას-მიერ . . . . „ 30 კ.
მაჰმადიანთ ლექსები, დამატებით ზ. ჭიჭინაძისა . . . . . „ 10 კ.
დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . . . . . „ 40 კ.
აქავე ისყიდება „სამი კომედია, აკ. ცაგარელისა „ 60 კ.
„ თორნიკე ერისთავი “ აკაკისა . . . . 1 მ. „

---


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.



II ГОДЪ ИЗДАНІЯ ГОДЪ II

Открыта подписка на второе полугодіе 1891-го года въ Самаркандѣ

на газету

„ОКРАИНА“

(ПОЛИТИЧЕСКУЮ, ОБЩЕСТВЕННУЮ и ЛИТЕРАТУРНУЮ),

съ безплатными беллетристическими и научными приложеніями.

ЕДИНСТВЕННЫЙ ЧАСТНЫЙ ОРГАНЪ

въ Закаспійской области и Туркестанскомъ краѣ.

Газета выходитъ въ увеличенномъ размѣрѣ—въ 4-е стольбца, три раза въ недѣлю—по Понедѣльникамъ, Средамъ и Пятницамъ, примѣняясь къ днямъ отхода почтъ.

**программа изданія:**

Телеграммы Сѣвернаго Телеграфнаго Агентства и спеціальныхъ корреспондентовъ; передовыя; правительственныя распоряженія и циркуляры; хозяйственно-экономическія статьи; научныя, рецензіи, литература, театръ, музыка. Мѣстныя извѣстія. Статьи по мѣстнымъ вопросамъ. Дневникъ проишествій. Беллетристика. Стихотворенія, легенды, шахматныя игры, анекдоты, загадки, шарады. Практическія свѣдѣнія. Научные совѣты. Повѣсти и разсказы. Торговыя свѣдѣнія и цѣны на мѣстныя производства. Недоставленныя телеграммы. Отходъ и приходъ поѣздовъ и почтъ. Объявленія: частныя и казенныя.

**подписка принимается:**

Въ **Самаркандѣ:** въ конторѣ редакціи.
„ **Ташкентѣ:** въ типографіи Бр. Порцевыхъ.
„ **Москвѣ:** въ конторѣ объявленій, бывш. Метцль.
„ **Петербургѣ:** въ централь агентствѣ объявл. Матисона.
„ **Вѣрномъ:** у П. М. Зенкова.
„ **Нерчинскѣ:** у И. В. Богашева.

Подписная цѣна съ пересылкою и доставкою: на годъ 5 р., на 1/2 года 3 р. 50 к., на 3 мѣсяца 2 р. 50 к., на 1 мѣсяца 1 р., за границу за годъ 8 р. На другіе сроки подписка не принимается.

Цѣна за объявленія: по 15 коп. на послѣдней страницѣ и по 40 коп. на первой, за строку петита или ея мѣсто. При мѣсячныхъ же объявленіяхъ—скидка.

Адресъ редакціи. Самаркандъ.
Отдѣленіе: Ташкентъ, Типографія Бр. Порцевыхъ.


Дозв. ценз. Тифлисъ, 5-го Ноября 1891 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.